

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს უნივერსიტეტი  
ხელნაწერის უფლებით

გიორგი ქანთარია  
ფსიქოლოგიური ჟესტის მნიშვნელობა  
მსახიობის აღზრდის პროცესში

სპეციალობა – მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება

ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი

2016 წელი

## შინაარსი

1. სადისერტაციო ოქმის აქტუალობა	3გვ.
2. კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდი	4გვ.
3. ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები	4გვ.
4. ნაშრომის სტრუქტურა	5გვ.
5. ნაშრომის მოკლე შინაარსი	5გვ.
თავი 1. მსახიობის აღზრდის პრობლემისათვის	5გვ.
თავი 2. მიხეილ ჩეხოვი მსახიობის ხელოვნების შესახებ ზოგადად	6გვ.
თავი 3. ფსიქოლოგიური უესტის ჩამოყალიბების შესახებ	9გვ.
თავი 4. თეორიულად ფსიქოლოგიური უესტის შესახებ	11გვ.
თავი 5. ფსიქოლოგიური უესტი პრაქტიკაში	13გვ.
თავი 6. ფსიქოლოგიური უესტის ჩვენს მიერ პრაქტიკაში გამოყენების ექსპერიმენტი – კოტე ჯანდიერის „საოჯახო ქრონიკა“ რესთავის	
თეატრის სცენაზე განხორციელების შესახებ	21გვ.
დასკვნა	23გვ.
6. დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული ნაშრომების სია	25გვ.

## 1. სადისერტაციო თემის აქტუალობა

მსახიობის აღზრდა რომ პრობლემაა, ყველასათვის უდაოა. როგორ, რა მეთოდებით უნდა მოხდეს ამ საჭირობო ობიექტის გადაჭრა – ეს არის თემა, რომელსაც უკვე დიდი ხანია თეატრის მოღვაწეები უტრიალებენ და თანამედროვე თეატრში მას ყველა თავისებურად წყვეტს.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, დიონისეობაზე, პიესების გათამაშების ძირითადი ძალა სწორედ მსახიობი იყო და ამდენად, უკვე მაშინვე უნდა ყოფილიყო საჭირობო ობიექტი – თუ რანაირად აღეზარდათ ამფითეატრის სივრცეში მოთამაშე აქტიორი...

ასე იყო თეატრის ისტორიის ყველა ეტაპზე, მაგრამ საინტერესოა, რომ მწყობრი, თანმიმდევრული, პრაქტიკაში გამოსაყენებელ ხერხებთა ერთობლიობა, ანუ მეთოდის ჩამოყალიბება მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს რეჟისორის, როგორც პროფესიის, დაბადებასთან და სტანისლავსკის სახელთან არის დაკავშირებული.

XIX საუკუნიდან დაწყებული მსახიობის აღზრდის პრობლემით, მისი გადაჭრის ცდებით ძირითადად რეჟისორები იყვნენ და არიან დაკავებული, თუმცა თეატრის ისტორიაში არიან ისეთი მოღვაწეებიც, რომლებიც მსახიობ – მკვლევარებად ჩამოყალიბდნენ. მათ გამოკვლევებს გარკვეული, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ მნიშვნელოვანი ღირებულებაც გააჩნიათ. ეს დაადასტურა მათმა პედაგოგიურმა პრაქტიკამ, როდესაც თავისი კვლევისას მიგნებულის მიხედვით ახალგაზრდების აღზრდას აწარმოებდნენ. სწორედ ასეთი მოღვაწე იყო მიხეილ ჩეხოვი, რომელმაც არაერთი სასწავლო სტუდია შექმნა, როგორც რუსეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ – ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მისი დანატოვარი ჩვენთან საქართველოში სათანადოდ თეორიულად შესწავლილი და დამუშავებული არ არის.

ამიტომ, ჩვენ შეგეცადეთ მიხეილ ჩეხოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნების – მეთოდის – ფსიქოლოგიური უესტის მნიშვნელობას ღრმად ჩაგრძომოდით და აღმოგვეჩინა მისი ღირებულება, როგორც თეორიული და ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით მსახიობის აღზრდის პროცესისთვის. საქართველოში იგი ერთდროულად თეორიული და პრაქტიკული კვლევის გზით შეუსწავლელად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან არ არსებობს სპეციალური ნაშრომი, რომელიც მხოლოდ ამ თემისადმია მიძღვნილი.

## **2. ქვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდი.**

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მიხეილ ჩეხოვის დანატოვარის – ფსიქოლოგიური ჟესტის შესწავლას, როგორც თეორიულად, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

ჩვენ შევეცადეთ გავრკვეულიყავით მის ღირებულებაში, მნიშვნელობაში რეჟისორისთვის მსახიობთან მუშაობის პროცესისას, ვინაიდან მსახიობის აღზრდა დღევანდელ თეატრში, ძირითადად რეჟისორთა კომპეტენციაშია და თანაც, ეს პროცესი, აღზრდის პროცესი, დაუსრულებლად მიმდინარეობს, როგორც სასწავლებელი, ასევე თეატრი.

რას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ჟესტი?! რა ადგილი უჭირავს მას მიხეილ ჩეხოვის შემოქმედებით თეორიულ მემკვიდრეობაში?! რას შეიძლებოდა გამოეწვია მისი აღმოჩენა?! რა ღირებულება გააჩნია მას?! როგორ გამოვიყენოთ, რა წინაპირობებია საჭირო ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისთვის?! რა ადგილი უჭირავს მას ჩვენთვის დღემდე ნაცნობ სარეპეტიციო მეთოდებს შორის?!

ყველაფერი ზევით აღნიშნულისთვის ჩვენ თავდაპირველად, ჯერ თეორიულად შევისწავლეთ მიხეილ ჩეხოვის მთელი თეორიული დანატოვარი, შემდეგ გამოვყავით ფსიქოლოგიური ჟესტის საკითხი; შევისწავლეთ იგი თავიდან თეორიული, შემდეგ პრაქტიკული თვალსაზრისით, და საბოლოოდ, თავად ჩავატარეთ ექსპერიმენტი ერთ-ერთ სპექტაკლზე მუშაობისას, რეპეტიციების დროს მისი გამოყენებით. ასე, რომ ჩვენი კვლევა მიმდინარეობდა, როგორც თეორიულად გამოკვლევის გზით, ასევე პრაქტიკაში, ექსპერიმენტის დროს შემოწმების გზითაც.

## **3. ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე**

ამ ნაშრომით მოხდა საქართველოს თეატრალურ სივრცეში მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტის, ერთდროულად თეორიული პრაქტიკულად თვალსაზრისით შესწავლა. ამასთანავე, კონკრეტულ სპექტაკლზე მუშაობის პროცესში, მისი პრაქტიკაში გამოყენების პროცესის თეორიულად დაფიქსირების შედეგად, გააზრებული იქნა კონკრეტულ სპექტაკლზე მუშაობის თვალსაჩინოდ ჩვენებით, მისი კონკრეტული ღირებულების და მნიშვნელობის დადასტურება მსახიობის აღზრდის, მსახიობის ხელოვნების სწავლების პროცესში და საბოლოოდ, მწყობრი თეორიული და პრაქტიკულად გამოკვლევის შედეგად, გამოვიტანეთ დასკვნები, რომლებიც მისი ღირებულების აღნიშვნას და მნიშვნელობაში კონკრეტულად, თვალსაჩინოდ გარკვევას ემსახურება.

ასეთმა ნაშრომმა ხელი უნდა შეუწყოს, როგორც თეატრის პრაქტიკოსებს, ასევე თეორეტიკოსებს, უფრო კონკრეტულად გაიაზრონ ამ დიდი მსახიობის და მკაფიობრივის, პედაგოგის, ამ კონკრეტული მიზნების - ფსიქოლოგიური უკანასკნელობა, პრაქტიკოსებმა კი, გააზრებულად შეძლონ გამოიყენონ იგი მსახიობთან მუშაობის დროს და აგრეთვე მსახიობის ხელოვნების სწავლების პროცესში.

#### 4. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება 6 თავისაგან და 8 ქვეთავისაგან. გააჩნია დასკვნითი ნაწილიც. თან ერთვის ილუსტრაციები და ამასთანავე, ციტირებული გამოყენებული ლიტერატურის სია.

#### 5. ნაშრომის მოკლე შინაარსი.

##### 1 თავი.

###### მსახიობის აღზრდის პრობლემისთვის

პირველ თავში დასმულია მსახიობის აღზრდის პრობლემა.

მაღლებ რთულია ჯერ შეამჩნიო ახალგაზრდაში მსახიობური უნარი და შემდეგ სწორი მიმართულებით წარმართო. ზოგიერთს ხომ თავიდანვე თავისი შესაძლებლობების აშკარად გამომუდავნება უჭირს და ნიჭიერება მასში ფარულად არსებობს – მას აღმოჩენა სჭირდება! ასე, რომ ერთია შეამჩნიო ნიჭიერება, მეორეა გამოამუდავნებინო და შემდეგ აუცილებელი მიმართულებით წაიყვანო ახალგაზრდა.

შემდგომი ეტაპი უკვე ამ უნარის სასწავლებელში განვითარებაა – ორგანული მოქმედების მიღწევის თვალსაზრისით, თუ მისთვის გარდასახვის, ანუ სხვა ადამიანად, თავისგან განსხვავებულ პერსონაჟად გადაქცევის გზების სწავლება – ეს უკვე სხვა სირთულეა!

ყველა პედაგოგი თავისებურად ჭრის ამ პრობლემას, თუმცა რა თქმა უნდა დღესდღეობით არსებობს გარკვეული მეთოდოლოგია, რომელზეც ყველა თანხმდება და ეს არის სტანისლავსკის, მისი თანამოაზრების, თანამებრძოლების, მოწაფეების და ა.შ. თეორიული დანატოვარი...

მიხეილ ჩეხოვი და მისი “მემკვიდრეობა” მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს მსახიობის აღზრდის პრობლემით დაინტერესებული თეატრალებისგან, ვინაიდან მისი ღვაწლი და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური უკანასკნელი მეთოდი,

ჩვენთან სათანადოდ, ყოველმხრივ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და შესაბამისად ბოლომდე გამოუყენებელია. ამას აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1965 წელს მარია კნებელი, მისი ერთ-ერთო მოწაფე.

გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა პერიოდში მიხეილ ჩეხოვის „ფსიქოლოგიური ჟესტის“ მეთოდიც სათანადოდ შეუსწავლელი იყო, თუმცა კი მისი მნიშვნელობა, მიხეილ ჩეხოვის სტუდიაში აღზრდილი მსახიობების შემოქმედებითი მოღვაწეობა, მისი დირექტულების უდაო, ფაქტიურ დადასტურებას წარმოადგენს.

ამიტომ ვფიქრობთ დღესდღეობით ჩვენი საკვლევი თემა – მიხეილ ჩეხოვის „ფსიქოლოგიური ჟესტი“ აქტუალური და საინტერესო უნდა იყოს მსახიობის აღზრდის პრობლემით დაკავებული მოღვაწეებისთვის.

ჩეხოვის „ფსიქოლოგიური ჟესტი“, ამ მსახიობის და მკვლევარის შეხედულებათა ნაწილია მხოლოდ და ამგვარად, საკითხის უკეთ გაგებისთვის, თავიდან, ზოგადად მიმოვინლოთ მისი შეხედულებები. გავერავეთ, თუ რაზე ამახვილებდა იგი ყურადღებას მსახიობის ხელოვნებიდან და რა ადგილი უკავია ამ კონტექსტში ფსიქოლოგიურ ჟესტს.

## 2 თავი.

### მიხეილ ჩეხოვი მსახიობის ხელოვნების შესახებ ზოგადად

მეორე თავში, ზოგადად მიმოხილულია მიხეილ ჩეხოვის შეხედულებები მსახიობის ხელოვნების შესახებ. გაპეტებულია აქცენტები იმ საკითხებზე, რომლებსაც მიხეილ ჩეხოვმა თავისი მოღვაწეობის დროს მიაქცია ყურადღება და გარკვეული დასკვნებიც გამოიტანა.

უპირველეს ყოვლისა, რაც თავიდანვე უნდა აღინიშნოს, მიხეილ ჩეხოვი მსახიობის ხელოვნების სრულყოფილების ნიშნულად და გამომხატველად, ისევე როგორც სტანისლავსკი, მიიჩნევდა – მსახიობი რაც შეიძლება ღრმად, შინაგანად გარდასახულიყო გმირში. როგორ უნდა მიეღწია სრულყოფილი გადასახვისთვის – აი, ეს იყო საკითხი, რომელიც მას, როგორც მკვლევარს, მუდმივად აღელვებდა და აინტერესებდა, რაც აისახა კიდეც მის წერილებში და ნაშრომებში.

მისი აზრით, უპირველესად მსახიობს უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული უნარი – „იმპულსები“ პარტნიორებისგან, სხვა მსახიობებისგან მიეღო. მსახიობს უნდა ესწავლა სხვების ყველაზე ფაქიზი სულიერი მოძრაობის აღქმა.

ამის გარდა, აუცილებელი იყო მისი – მსახიობის შემოქმედებითი აქტიურობა, თუმცა აქაც, არა კოლექტივისგან ამოგდებულად. ჩეხოვის აზრით, მხოლოდ

ნამდგილი შემოქმედებითი აქტიურობა ბადებს, მოულოდნელ გამომსახველ საშუალებებს და მიჰყავს იგი გარდასახვამდე, თუმცა აუცილებელია იცოდე ეს მდგომარეობა შენში და განახვავებდე სიყალბეს – აღნიშნავდა ჩეხოვი.

ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სტილის საკითხებს და ამისთვის იძლევა გარკვეულ პედაგოგიურ ხერხებს, რათა მსახიობმა შეძლოს განივითაროს სტილის გრძნობა. ოუმცა, აქაც აგრეთვე კოლექტივის, პარტნიორების ფაქტორზე მიუთითებდა.

შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრობლემად საკუთარი ინდივიდუალობის საკუთარ თავში აღმოჩენა და გაცნობიერება მიაჩნდა: „თუ მსახიობს სურს დაეუფლოს თავისი ხელოვნების ტექნიკას, იგი უნდა იყოს მზად გრძელი, ურთულესი, მძიმე შრომისთვის; ამის ჯილდოდ კი, თავისთავად მოვა მისი შეხვედრა საკუთარი ინდივიდუალობასთან და უფლება აღმაფრენით თხზავდე“.<sup>1</sup> – უწერია მას.

ეს რაც შეეხება ზოგადად მსახიობის პრობლემებს.

შემდგომში, იგი, უკვე უღრმავდება კონკრეტულ ად როლზე მუშაობის პროცესს.

ჩეხოვი მიიჩნევდა, რომ ყველამ, კონკრეტული როლისადმი თავისი მიღებომა თამამად და გააზრებულად უნდა ეძიოს. ყველა მსახობს აქვს უფლება ჰყავდეს თავისი განუმეორებელი და ერთადერთი ჰამლეტი.

რადგან ჩეხოვი, ისევე როგორც სტანისლავსკი, ესწრაფვოდა გარდასახვას, ეს ფაქტორი ორივესთვის ერთნაირი იყო, მაგრამ გზა – თუ როგორ უნდა მისულიყო მსახიობი გარდასახვამდე – ამის გააზრებაში მათ განსხვავებული შეხედულებები ჩამოუყალიბდათ.

სტანისლავსკი ფიქრობდა, რომ როლამდე მსახიობი საკუთარი თავიდან უნდა წავიდეს – ყველაფერი უნდა დაიწყოს „მე, შემოთავაზებულ ვითარებაში“. ჩეხოვი კი, დროთა განმავლობაში, მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთმა მიღებამ შეიძლება მსახიობი ნატურალიზმამდე მიიყვანოს. მისი აზრით, მხატვრული სახეები არსებობენ თავისთავად, ჩვენს გარეშე. მსახიობის ამოცანა უნდა იყოს დაუსვას კითხვები ამ „სახეებ“, მიზიდოს თავისკენ და მოთმინებით დაელოდის „პასუხებს“. „პასუხის“ მიღების შემდეგ კი, მოძებნოს საკუთარ თავში შესაძლებლობა შექსაბამებოდეს ასეთ „მინიშნებას“.

ეს მიღვომა, მისი აზრით, ბუნებრივია მოითხოვს მსახიობისგან ფანტაზიის მაქსიმალურ აქტიურობას და საერთოდ, მსახიობის სულიერი ცხოვრების

<sup>1</sup> . . . . , .2, .. : « .», 1986 . . . . 262.

აქტიურობასაც. ეს მოითხოვს მსახიობმა მუდმივად გაამდიდროს თავისი გრძნობები, ცოდნა, დაკვირვება, მეხსიერება.

ჩეხოვი ფიქრობდა, რომ შემოქმედების წყარო არის გრძნობა, ემოცია როლის შესახებ.

ეხლა რაც შეეხება ჩეხოვის მოსაზრებას მსახიობის მიერ რეპეტიციებისას გამოსაყენებელი ხერხების შესახებ, – იგი ხაზს უსვამდა, მხატვრული სახის შექმნის პროცესში, გაცნობიერებულ კითხვებსა და ფანტაზიის მიერ წარმოშობილ კითხვებს შორის განსხვავებას. ფაქტიურად, ჩეხოვი მოუწოდებდა სახეობრივი აზროვნებისკენ და გამორიცხავდა რაციონალიზმს. იგი თავის ნაშრომს „მსახიობის ტექნიკის შესახებ“ სწორედ ფანტაზიის პრობლემატიკით იწყებს, თუმცა არანაკლებ საინტერესოა მისი მოსაზრებები ყურადღების შესახებ.

„ჩეხოვი გვთავაზობს უბრალოდ კი არ წარმოვიდგინოთ „რაღაც“, არამედ დავინახოთ ეს „რაღაც“ მოძრაობაში, განვითარებაში... წარმოსახვის მოქნილობა, მის მიხედვით, გულისხმობს ზუსტ ხედვას და ფიქსაციას, განვითარების ეტაპებს, მათ კავშირებს, თანმიმდევრობას და კანონზომიერებას მოქმედებისას“.<sup>1</sup>

აუცილებელია აღინიშნოს ასევე მ. ჩეხოვის დამოკიდებულება იმპროვიზაციის მიმართ: იგი მიიჩნევდა, რომ თუ მსახიობს ექნებოდა იმპროვიზაციის უნარი, მას უბეჭდი ნაპოვნი ჰქონდა თავისი ინდივიდუალობა, როგორც შემოქმედს. იმპროვიზატორი მსახიობი სცენაზე ყოველთვის პოულობს ახალ-ახალ ფერებს შექმნილი ხასიათის გამოხატვისთვის. აუცილებელია ქვეცნობიერს გაუხსნათ გზა... თუმცა იგივეს ამბობდა სტანისლავსკიც...

მთავარი განსხვავება სტანისლავსკის და ჩეხოვის შეხედულებების შორის იყო – გარდასახვა – განცდის“ პრობლემების თავისებური გააზრება.

სტანისლავსკის მიაჩნდა, რომ გარკვეული გეგმით შესაძლებელი იყო ნამდვილი განცდის გამოწვევა სცენაზე, რომელიც ქვეცნობიერის გააქტიურების შედეგი უნდა ყოფილიყო.

ჩეხოვი კი თვლიდა, რომ გმირისადმი უნდა გქონდეს „თანაგრძნობა“ – ეს ტერმინი ჩეხოვის შემოტანილია და მისი აზრით, ეს „თანაგრძნობა“ გამორიცხავდა როლის დანაგვიანებას წვრილმანი განცდებით. ასე, რომ იგი გარკვეული დამოკიდებულების აუცილებლობის საკითხს სვამდა მსახიობსა და გმირს შორის.

ჩეხოვის შეხედულებათა შორის ასევე აღსანიშნავია მისი მოსაზრებები ატმოსფეროს შესახებ. იგი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ატმოსფეროში ჩეხოვი გულისხმობდა მთელი სპექტაკლის გრძნობათა,

<sup>1</sup> . . . , – . . . , . . . . « », 1986 . . 18.

განწყობილობათა ერთობლიობას. იგი მას განიხილავდა, როგორც ცხოვრების გამოვლინებას, როგორც შემოქმედების სტიმულს, როგორც როლის და პიესის ანალიზის ხერხს.

ეხლა კი, ნაწილობრივ შევეხებით მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიურ ჟესტს, როგორც ნაწილს ამ მსახიობის და მკვლევარის შეხედულებებისა...

სტანისლავსკიმ მსახიობის გრძნობისა და გონების ურთიერთკავშირის ასამოქმედებლად აღმოაჩინა „ფიზიკურ მოქმედებათა კანონი“, რომელიც შემდგომში „ქმედითი ანალიზის“ მეთოდის სახელით დამკვიდრდა... ჩეხოვი კი, ამ ურთიერთკავშირის ასამოქმედებლად, სხვა გზას ხედავდა. მსახიობის ფანტაზიის ასამოქმედებლად, რომელსაც უნდა გამოეწვია მისი გონების, ნებისყოფის და სხეულის ამოქმედება შემოქმედებით პროცესში: „ფსიქოლოგიური ჟესტის“ – ტერმინით აღნიშნული „გზა“ მიაჩნდა.

რა არის „ფსიქოლოგიური ჟესტი?!“ რას გულისხმობს იგი?!

რა „მეთოდია“?! არის კი მეთოდი?!

ყველაფერი ამის შესახებ შემდეგში უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ. თავიდან შევეცდებით თეორიულად გავერკვეთ მის არსში, შემდეგში უკვე პრაქტიკაში, კონკრეტულად მსახიობთან მიმართებაში განვიხილავთ და საბოლოოდ, თავად გამოვცდით მის შესაძლებლობებს კონკრეტულ სპექტაკლზე მუშაობის პროცესში, ასე ვთქვათ, თავად ჩავატარებთ ექსპერიმენტს და ყველაფერი ზემოთაღნიშნული პროცესის შემდეგ თავად გამოვიტანთ დასკვნებს „ფსიქოლოგიური ჟესტის“ არსის, მნიშვნელობის და დირებულების შესახებ.

თუმცა თავდაპირველად აუცილებლად მიგვაჩინა შევეხოთ ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბების ისტორიას ზოგადად, რათა გავერკვეთ რამ გამოიწვია და როგორ სოციალურ, პოლიტიკურ, თუ მიხეილ ჩეხოვის როგორ პიროვნულ-შემოქმედებით ვითარებაში დაიბადა იგი.

### თავი 3. ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბების შესახებ.

მესამე თავში შევეცადეთ თეორიულად გაგვეანალიზებინა საიდან შეიძლება დაბადებულიყო ჩეხოვის ცნობიერებაში „ფსიქოლოგიური ჟესტის“ მიგნება; რამ გამოიწვია – რა სოციალურმა, ისტორიულმა, თუ პიროვნულმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აღმოჩენა; რამ უბიძგა მიხეილ ჩეხოვს მისი მიკვლევისაკენ. ამისთვის უპირველეს ყოვლისა გავიაზრეთ, თუ რა ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება იმ პერიოდისათვის შემოქმედს.

1918 წელი, რუსეთში სამოქალაქო ომია.

„წითლები“ და „თეთრები“ ერთმანეთს არ ინდობენ, მოსკოვი ბოლშევიკების მმართველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის იმპერიის სამხრეთი ნაწილი თეთრგვარდიელებს უჭირავთ. კონფლიქტმა 1917 წელს, ოქტომბრის აჯანყების შემდეგ იფეთქა.

ასეთ დაძაბულ ვითარებას არ შეეძლო არ ემოქმედა უბრალო ადამიანების ფსიქიკაზე, მითუმეტეს, თუ ეს უბრალო ადამიანი მიხეილ ჩეხოვია, მსახიობი, შემოქმედი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელსაც არ შეუძლია გულგრილად შეხედოს განვითარებულ მოვლენებს, მას უბრალოდ არ აქვს ამის უფლება. ჩეხოვიც ვეღარ უმკლავდება ამ დაძაბულ ვითარებას და სახლში იკეტება; შიში, რომელსაც მთელი ქვეყანა განიცდის, მასზე გაორკეცებულად მოქმედებს. ყველაფერს ზემოთქმულს ადასტურებს მისი იმდროინდელი წერილები კ.ს. სტანისლავსკისადმი და მხატვის პირველი სტუდიის კოლექტივისადმი.

ამ წერილებიდან ჩანს, რომ ჩეხოვი დიდი სტრესის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1918 წლის დასაწყისში, მაინც სსნის საკუთარ სტუდიას, სადაც აწარმოებს მუშაობას დამწყებ მსახიობებთან. სავარაუდოდ, მისი ეს ნაბიჯი იყო მცდელობა გაქცეოდა არსებულ რეალობას და იგი მისთვის სულიერი, თუ ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ეს იყო საშუალება, თავად, უკვე სხვებზე, დამოუკიდებლად შეემოწმებინა სტანისლავსკის მიერ უპარ მიგნებული...

საფიქრებელია, რომ ქვეყანაში არსებულმა ვითარებამ გამოიწვია ჩეხოვი – მკვლევარის, ჩეხოვი-ექსპერიმენტატორის დაბადება, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, – 1910 წლებში, რუსეთში იჭრება, იტალიაში ახალდაბადებული მიმდინარეობა ფუტურიზმი: მანიფესტით სახელად „(ჯგუფი  
„“, ხელმძღვანელი: ვლადიმერ ხლებნიკოვი), რომელიც ფაქტიურად „ომს“ უცხადებდა არსებულ მიმდინარეობებს ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

ეს იყო პროვოკაციული და აგრესიული შემოქმედების დასაწყისი, თავიდან ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში, მაგრამ სულ მალე თითქმის ყველა სახელოვნებო დარგი ამ გავლენის ქვეშ ექცევა: მეინრელდი იწყებს ბიომექანიკაზე მუშაობას, ყველგან ახალი ფორმების ძიებაა...

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩეხოვის შემთხვევაშიც, ისიც იწყებს ახალი სარეპეტიციო მეთოდის ძიებას, მით უფრო, რომ საკუთარი ინდივიდუალობა, მას ხომ არაჩვეულებრივი ფანტაზიის უნარი გააჩნდა, ინტუიტურად უბიძგებდა თავისი, ორიგინალური, სტანისლავსკის მიგნებებისგან განსხვავებული, აღმოჩენების გაკეთებისკენ.

ეს ყველაფერი გავიხსენეთ – ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბების ისტორიის ზოგადად მიმოხილვისას და მივედით დასკვნამდე, რომ 1918 წლისთვის შექმნილმა ისტორიულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, შემოქმედებით ატმოსფეროში მიმდინარე არაურთგვაროვანმა, რევოლუციურმა, შესაბამისად მსახიობის შინაგანმა განწყობებმა, მაძიებელმა ბუნებამ და მისმა სურვილმა დაუძლია თავისთავად გაუსაძლისი ვითარება, გამოსულიყო მძიმე დეპრესიული განწყობიდან, უბიძგეს მას შემოქმედებითი კვლევებისკენ, სიახლის ძიებისკენ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამის შედეგი იყო ჩეხოვის, როგორც მსახიობის ხელოვნების მკვლევარის, თეორეტიკოსის დაბადება და შესაბამისად, „ფსიქოლოგიური ჟესტის“ მეთოდის ჩანასახის აღმოჩენაც, რომელსაც შემდგომში, უცხოეთში მოდვაწეობის და ძიებების დროს, საბოლოო სახე მიეცა.

#### თავი 4.

##### თეორიულად ფსიქოლოგიური ჟესტის შესახებ

ამ თავში დავიწყეთ უფრო კონკრეტულად ფსიქოლოგიური ჟესტის გააზრება – თავიდან მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით.

პირველ რიგში შევეცადეთ განგვეხილა, ჩავწერომოდით, შესაბამისად ჩამოგვეყალიბებინა ფსიქოლოგიური ჟესტის ზოგადი განმარტება.

ჩვენი მცდელობის შედეგად მივედით შემდეგ დებულებამდე – ფსიქოლოგიური ჟესტი დაახლოებით შეიძლება იქნეს განმარტებული, როგორც ფიზიკურ მოძრაობაში ასახული შინაგანი მდგომარეობა – (პროცესი); გასათვალისწინებელია, რომ იგი არ არის ყოფითი ჟესტი, რომელსაც ცხოვრებაში ხშირად მიემართავთ; ის არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს ერთი ყოფითი მოძრაობით; ფსიქოლოგიური ჟესტის შესრულებაში მთელი სხეულია ჩართული და მოძრაობას გააჩნია დასაწყისი, განვითარება და დასასრული; ეს არის ერთგვარი პლასტიური ეტიუდი, რომელსაც მსახიობი ასრულებს როლთან მიმართებაში, ინდივიდუალურ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით.

ამაზე, ჩვენ, ამ თავის ქვეთაგში – ფსიქოლოგიური ჟესტის ზოგად განმარტებაში ვიმსჯელეთ.

შემდეგ ქვეთაგში – “ფსიქოლოგიური ჟესტის, როგორც ფანტაზიის შედეგად შექმნილი პერსონაჟის განსხვაულების საშუალება”, შევეცადეთ მის არსე ჩავწერომოდით, ჯერ ისევ მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით.

რა მინდა? რას ვაკეთებ? – ეს ის კითხვებია, რომელზეც მსახიობს აუცილებლად უნდა გააჩნდეს პასუხი, რათა როლის ხაზი ააგოს. ამასთანავე არის

კიდევ ერთი აუცილებელი კითხვა – როგორ ვაკეთებ?, რომელიც პირდაპირ ასახავს მსახიობის მიერ სცენაზე შესრულებული როლის ხარისხს. სწორედ ამ პასუხის აღმოჩენაში ეხმარება მას ფსიქოლოგიური ჟესტი. იგი დროებით ათავისუფლებს მსახიობს ყოფითი ჩარჩოებისგან და გასაქანს აძლევს მის ფანტაზიას, ინტუიციას. მისი საშუალებით მსახიობს შეეძლება ფიზიკურად ხელშესახები გახადოს პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობა.

ბოლოს კი, შევეცადეთ ქვეთავგში დაგვედგინა განსხვავება ჟესტსა და ფსიქოლოგიურ ჟესტს შორის, თუ რას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ჟესტი, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი, ყოფითი ჟესტი, არამედ იგი წარმოადგენს შინაგანი მდგომარეობის უფრო აბსტრაქტულ გამოხატულებას, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური მინიშნება. როდესაც მსახიობი მიმართავს ფსიქოლოგიურ ჟესტს, მისი მოძრაობა უნდა მოიცავდეს უფრო მეტ „ფერს“, ვიდრე ხელის ძუნწი მოძრაობაა. ფსიქოლოგიური ჟესტი, ფორმისა და შინაარსის ფიზიკურ ერთობლიობას წარმოადგენს და არა მხოლოდ მინიშნებას, ყოფითი ჟესტისგან განსხვავებით.

ფსიქოლოგიური ჟესტის თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენებოთ ამონარიდს მიხეილ ჩეხოვის ნაშრომიდან:

„მაგალითად, გოროდნიჩის როლზე მუშაობისას, თქვენ შესაძლებელია აღმოაჩინოთ, რომ გმირის მისწრაფება მდგომარეობს შემდგები: მხდალად (შეფერილობა) მიიწევს წინ (ჟესტი). თქვენ პირველი შთაბეჭდილებით აყალიბებთ მარტივ ფსიქოლოგიურ ჟესტს... მისი შესრულების და შეგრძნების შემდეგ თქვენ გიჩნდებათ ფ.ჟ.-ის განვითარების და შემდეგ ეტაპზე გადაყვანის მოთხოვნილება. თქვენმა ინტუიციამ შესაძლოა გიკარნახოთ: ძირს მიწისკენ (ჟესტი) შენელებულად და მძიმედ (შეფერილობა). ყოველი სწორად ნაგრძნობი ფსიქოლოგიური ჟესტი ბადებს ახალ მოძრაობებს. ახლა შესაძლებელია მაგალითად: ჟესტი – განზე გასხლტომა (ცბიერება, მოხერხებულობა) მტევნები მუშტებად იკვრება (მოუთმენლობა), მხრები ზევით არის აწეული, მთელი სხეული ოდნავ იხრება მიწისკენ, მუხლები მოხრილია (სიმხდალე), ტერფები ოდნავ შიგნით არის შებრუნებული (საიდუმლოება, ფარულობა).”<sup>1</sup>

ასე აღგვიწერს როლის ფსიქოლოგიური ჟესტის მაგალითს მიხეილ ჩეხოვი, რომელიც ვფიქრობთ საქმარისია მისი შეხედულების ამ ეტაპზე გაგებისათვის.

ამ კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ფსიქოლოგიური ჟესტი ისეთი ფსიქოფიზიკური მოძრაობაა, რომელსაც გააჩნია დასაწყისი, განვითარება და დასასრული. ჩეხოვის აზრით, მისი მოძებნის, მიგნების შედეგად მსახიობში

<sup>1</sup> . . ,

, .2, . « », .. 1986 .. .206-207.

იბადება იმის შესაბამისი განწყობა, რაც აუცილებელია ამა, თუ იმ სცენური ეპიზოდისთვის. ამიტომ, ფსიქოლოგიური ჟესტის ძიების პროცესი, ჩეხოვის აზრით, დამხმარე საშუალებაა რეპეტიციაზე, თუ ლექციაზე მსახიობთან სასურველი შედეგის მიღწევისათვის.

ყველაფერ ზევით მითითებულში გარკვევის შემდეგ, ჩვენ შევეცადეთ უკვე პრაქტიკაში გაგვეზიარებინა, თუ როგორ შეიძლება გამოგვადგეს იგი – პრაქტიკაში, მსახიობის აღზრდის, ან მსახიობთან მუშაობის პროცესში.

## თავი 5.

### ფსიქოლოგიური ჟესტი პრაქტიკაში

ეს თავი რამდენიმე ქვეთავისგან შედგება. პირველ ქვეთავში შევეცადეთ გაგვეაზრებინა პრაქტიკაში რას წარმოადგენს მსახიობის აღზრდისთვის ფსიქოლოგიური ჟესტი. ამისათვის საჭირო გახდა სამსახიობო ხელოვნების ძირითადი პრინციპების თავიდან გახსენება და მათი გააზრება ფსიქოლოგიური ჟესტის კონტექსტში. ორგანული მოქმედების ყოველი ელემენტი გავაანალიზეთ სწორედ ამ თვალსაზრისით (ყურადღება, დამოკიდებულება, მოქმედება, შეფასება, ტემპო–რიტმო, კონტრმოქმედება) და მივედით შემდეგ დასკვნამდე:

– როგორც სცენაზე ორგანული ქცევის კანონში, ასევე ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბებისასაც, აუცილებელია ექსივე ელემენტი იქნას ჩართული მოქმედებაში. ფსიქოლოგიური ჟესტის შესრულების დროს მუშაობს: ყურადღებაც, დამოკიდებულებაც, მოქმედება, შეფასება, ტემპო–რიტმი და კონტრმოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟესტი არ იქნება სრულყოფილი, რადგან თითოეული ელემენტი განსაკუთრებულ „ფერს“ და მისამართს აძლევს მოძრაობას.

შემდეგ ქვეთავში – მიხეილ ჩეხოვი მსახიობის ტექნიკის შესახებ, ისევ მიუბრუნდით მიხეილ ჩეხოვის თეორიულ დანატოვარს მსახიობის ტექნიკის შესახებ, რათა კონკრეტულად გაგვეაზრებინა, თუ პრაქტიკულად როგორ შეიძლება იქნეს მიღწეული ფსიქოლოგიური ჟესტი, რა ეტაპები უნდა იქნეს გავლილი, რა პირობებია საჭირო ამისთვის.

– პირველ რიგში, მსახიობი აუცილებლად კარგად უნდა ფლობდეს ქმედითი ანალიზის მეთოდს, რადგან სწორედ ამ მეთოდის ბაზაზეა დაფუძნებული ფსიქოლოგიური ჟესტის აგების პრინციპი. უფრო კონკრეტულად: იწყება როლზე მუშაობა, სამაგიდო რეპეტიციები, ვარკვევთ რა ამბავთან გვაქვს საქმე; დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას, მაგრამ აუცილებელია ზუსტად გავარჩიოთ ერთმანეთისგან – რა არის მართლაც პირველი შთაბეჭდილება და რა

არის უკვე ნანახი, გაგონილი, ან ნათამაშევი. პირველი შთაბეჭდილების გარჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ უნიკალური შეგრძნებიდან გამომდინარე უნდა დაიბადოს როლის ფსიქოლოგიური ჟესტი. „სისტემის“ თანახმად, როლს გააჩნია ზე-ამოცანა და გამჭოლი მოქმედება, ასევე, მიხეილ ჩეხოვის აზრით, გააჩნია ფსიქოლოგიური ჟესტიც – ფიზიკური მოძრაობა, რომელიც უნდა მოიცავდეს ზეამოცანასაც და გამჭოლ მოქმედებასაც. ასევეა ცალკეულ სცენებშიც, სადაც მსახიობი პერსონაჟის სურვილებისა და ამოცანების თანახმად მოქმედებს.

კ.ს. სტანისლავსკის თავის წიგნში „მსახიობის მუშაობა როლზე“, მთელი პროცესი აქვს გადმოცემული იმის შესახებ, თუ როგორ იბადება როლი მსახიობში. ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ როლი მსახიობში იბადება! ანუ მსახიობი თავისი თავიდან გამომდინარე იწყებს როლის შენებას.

1945 წელს პოლიგუდში გამოიცა წიგნი „მსახიობის ტექნიკის შესახებ“, სადაც მიხეილ ჩეხოვი წერს: „თუ თქვენ ზუსტად ფორმულირებულ, ძლიერ, გამომსახველ ჟესტს გააკეთებთ, შესაძლებელია თქვენში შესაბამისმა სურვილმა იფეთქოს“.<sup>1</sup> (გაიხსენეთ ჩეხოვის გმირი – მოხუცი, რომელმაც ჯერ ფეხები დაბაკუნა, ხოლო შემდეგ გაბრაზდა).

ფიზიკური მოქმედება, ორივე შემთხვევაში (სტანისლავსკისთან და ჩეხოვთან), ამბვის მოყოლის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, მაგრამ თუ სტანისლავსკისთან შინაგანი მოთხოვნილების შედეგს წარმოადგენს, ჩეხოვთან პირიქით, ფიზიკური მოქმედების შედეგად შესაძლებელია სათანადო შინაგანი მდგომარეობისა და მგრძნობელობის დაბადება. როლის მხატვრული სახის შესაქმნელად, ორივე პრინციპი თანაბრად სასარგებლოა. როლზე მუშაობის ეს ორი ზემოთ აღნიშნული საშუალება (სტანისლავსკისა და ჩეხოვის), თითქოს ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, პირველი მეორეს გამომრიცხავად გვევლინება და პირიქით. თვითონ სტანისლავსკი წერს („მსახიობის მუშაობა როლზე“) თავში, სადაც გარდასახვაზე აქვს საუბარი, რომ როლზე მუშაობის ბოლო ეტაპზე მსახიობმა, შინაგანად შექმნილი „ხატი“ ( ) გარეთ უნდა გამოიტანოს, ანუ გარეგნული „ხატი“ უნდა შეიქმნას.<sup>2</sup> მისივე სიტყვებით, იდეალურ შემთხვევაში, შინაგანი სახე კარნახობს მსახიობს გარეგნულ ფორმას და მსახიობიც ორგანულად გარდაისახება.

როლის გარეგნული სახე შეიგრძნობა და გადაეცემა მსახიობს, როგორც ცნობიერად, ასევე გაუცნობიერებლად, ინტუიციის საშუალებით. ხშირად მსახიობი

<sup>1</sup> . . , , T.2, Изд. « », 1957 .. .185.

<sup>2</sup> . . , ( . . . , .4, . « », 1957 .. .185.

როლის გარეგნულ ფორმას ეძებს სხვადასხვა ვარცხნილობის, სიარულის, ლაპარაკის მანერის და სხვა გამომხატველი საშუალებების საკუთარ თავზე მოსინჯვით. ხშირად ასეთი ცდები, ინტუიციით არის ნაკარნახევი.

რადგან ინტუიცია ადამიანის ცნობიერებას არ ექვემდებარება და ქვეცნობიერის ამოძახილია, ხშირია შეცდომები, სადღაც ნანახი და დავიწყებული ფორმების გამეორება; ასევე ხშირია მსახიობის მიერ ადრე შესრულებული როლების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებაც, რაც იწვევს მსახიობის ფანტაზიის გადარიბებას და ერთფეროვნების საშიშროებას ბადებს. იმისთვის, რომ მსახიობმა გვერდი აუქციოს ამ პრობლემას და მისი ყოველი როლის გარეგნული სახე შინაგანი ხატით“ იყოს ნაკარნახევი, საჭიროა როლზე მუშაობის გარკვეულ ეტაპზე, ჩეხოვის თქმით: „ჯერ ფეხები დავაბაკუნოთ და მერე გავბრაზდეთ“.

ფსიქოლოგიური ჟესტის თანახმად, მსახიობს ეძლევა საშუალება პერსონაჟის შინაგანი მისწრაფება (სურვილი) გამოხატოს ზოგადი ფიზიკური მოძრაობით (ჟესტით). ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ მოძრაობა შესაძლებელია იყოს ზოგადი, ანუ არ მოიცავდეს კონკრეტულ, ყოფით ფიზიკურ მოქმედებას, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მსახიობი დროებით თავისუფლდება ყოფისგან და უფრო მაშტაბურ გასაქანს აძლევს თავის ფანტაზიას, მგრძნობელობას. ის ცდილობს სხეულის მოძრაობით, ფიზიკურად ხელშესახები გახადოს პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობა და სურვილი.

ეს ყველაფერი მარტივ ფიზიკულტურად გადაიქცევა, თუ მყარი შინაგანი ბაზა არ არის ჩამოყალიბებული მსახიობის მიერ, ანუ თუ პერსონაჟის შინაგანი „ხატი“ არ არის შექმნილი. არ არის გარკვეული – რა მინდა? და რას ვაკეთებ? ხოლო თუ ამ კითხვებზე პასუხი გაცემულია, კითხვაზე – როგორ ვაკეთებ? – ამის გარკვევაში, უდაოდ გვეხმარება ფსიქოლოგიური ჟესტი, რადგან ის თავისი არსით ერთგვარ ქცევების თანმიმდევრობას წარმოადგენს, რის შედეგადაც მსახიობს ეძლევა საშუალება ფიზიკურად შეეხოს თავის გონებაში, ფანტაზიის შედეგად დაბადებულ პერსონაჟის სახეს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ყველა როლს გააჩნია ფსიქოლოგიური ჟესტი. ავიდოთ ჩვენი ცხოვრებიდან ექსტრემალური ვითარება. აღვადგინოთ ჩვენი შინაგანი პროცესი და დავინახავთ, რომ ყველაზე დაძაბულ მომენტში, აუცილებლად იბადება აქტიური სურვილი ფიზიკურად რაღაცის ჩადენისა: კარის მიჯახუნების, კედელზე ხელის დარტყმის და ა.შ. ექსტრემალური ვითარების დროს, როგორც ცნობილია ქვეცნობიერი იმარჯვებს ცნობიერებაზე, თუმცა ადამიანები მუდმივად ასეთ ვითარებაში არ იმყოფებიან და ამდენად,

ფსიქოლოგიურ ჟესტს წარმოადგენს ისეთი ფიზიკური მოძრაობა, რომელიც ამა თუ იმ შეგრძნებას, ან მოქმედებას მიესადაგება.

„სურვილი შესაძლოა არ გემორჩილებოდათ, მაგრამ თუ ჟესტს სათანადო სიმბაფრით გააკეთებთ, ჟესტი დაიმორჩილებს სურვილს“<sup>1</sup> – წერს მიხეილ ჩეხოვი.

ასე, რომ როლს გააჩნია გამჭოლი მოქმედება, ზე-ამოცანა და ფსიქოლოგიური ჟესტი. ეს უკანასკნელი კი, სურვილის დამორჩილების საშუალებად მიაჩნია მიხეილ ჩეხოვს.

როგორ?! და რაზე დაყრდნობით შევადგინოთ ესა, თუ ის ფსიქოლოგიური ჟესტი?!

პირველ რიგში გვესაჭიროება მოქმედება, ანუ ზმნა, რომელიც ამ მოქმედებას აღნიშნავს. დავიწყოთ მარტივიდან: აღება, გატეხვა, გარღვევა, წათრევა, შეხება და სხვა. მოვძებნოთ შესაბამისი მოძრაობა, მაგრამ არა ილუსტრაცია, განყენებული მოძრაობა, რომელიც შინაარსობრივად ასახავს ამ ქმედებას. „ნუ ითამაშებთ ჟესტებს. მაგალითად, არ გააკეთოთ წათრევის იმიტაცია, ვითომ რაღაც სიმბიმეს მიათრევდეთ: იღლებით, ისვენებთ, შემდეგ ისევ მიათრევთ და ასე შემდეგ. დაე თქვენი ჟესტები იყოს უსაგნო და არა ნატურალური; უფრო თავისუფალი, ფართო და ესთეტიური.“<sup>2</sup> ამგვარად, ჩეხოვს ფსიქოლოგიური ჟესტი შინაგანი მდგომარეობის ამსახველია და არა ფიზიკური საქმიანობის.

ფსიქოლოგიურ ჟესტის მასშტაბი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ სად და როდის სჭირდება მსახიობს მისი გამოყენება.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური ჟესტის კარნასი შეუძლებელია. ეს სარეპეტიციო მეთოდი ინდივიდუალურ შეგრძნებებსა და გამომსახველ საშუალებებს ემყარება. შეუძლებელია მსახიობისთვის რაიმე მოძრაობის ჩვენება და შემდეგ მოთხოვნა: „აბა გაიმეორე“, იმ იმედით, რომ ეს მოძრაობა მსახიობში სათანადო მგრძნობელობას აღძრავს. ეს, ასე არ მოხდება. ყოველმა მსახიობმა თავად უნდა შეადგინოს ამა, თუ იმ პერსონაჟის ფსიქოლოგიური ჟესტი. თვითონ უნდა მოარგოს პერსონაჟის მდგომარეობებსა და მისწრაფებებს.

ამგვარად, ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბების პრინციპი სამსახიობო ხელოვნების სამ ძირითად კითხვას ემყარება:

რა მინდა?

რას ვაკეთებ?

<sup>1</sup> . . , .2, . « . ., 1986 .. .203.

<sup>2</sup> «—», იქვე, . 205.

როგორ ვაკეთებ?

ფსიქოლოგიური ჟესტიც ერთგვარი პასუხია ძირითად კითხვებზე:

რა მინდა? – მინდა დავანახო, რომ მისი არ მეშინია.

რას ვაკეთებ? – დავცინი, ვაღიზიანებ.

როგორ ვაკეთებ? – თავგანწირვით, სიცოცხლის ფასად.

მაგალითად, შეიძლება ასეთი პასუხები ამოძრავებს მერკუციოს ტიბალტან საბედისწერო სცენის დროს. რეჟისორი მსახიობს ამ სამ საყრდენს სთავაზობს, რაზეც მსახიობი ფსიქოლოგიურ ჟესტს აგებს – მოძრაობას, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს დასაწყისი, განვითარება და დასასრული; მოძრაობა, რომელიც გამოხატულია ზმით: „რას ვაკეთებ? – დავცინი!“, დამუხტულია შეგრძნებით: „როგორ ვაკეთებ?“ – „თავგანწირვით! სოცოცხლის ფასად!“ და ბოლოს, მიმართულია აპოთეოზისკენ: „რა მინდა? – დავამტკიცო, რომ მისი არ მეშინია!“. თუ მსახიობის ფსიქოლოგიური ჟესტი დამუხტული იქნება ამ სამი პასუხით, მასში (მსახიობში) აუცილებლად დაიბადება სათანადო მგრძნობელობა და ასევე შეძლებს საინტერესო, მხოლოდ მისეული გამომსახველობითი საშუალებების მოძებნას. ის მგრძნობელობა, რაც მსახიობში სარეპეტიციო პროცესის დროს ფსიქოლოგიურმა ჟესტმა დაბადა, მის ემოციურ მეხსიერებაში აუცილებლად დაილექტა და სპექტაკლში სათანადო ეპიზოდის დროს იჩენს თავს.

როლის გონიერით გაანალიზება, რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ რამდენიც არ უნდა იმსჯელო, თეორიულად ძირფესვიანად შეისწავლო პერსონაჟი, საბოლოოდ როლი მაინც უნდა გაცოცხლდეს სცენაზე;

ამ პრობლემის წინაშე ხშირად დამდგარა ალბათ ნებისმიერი რეჟისორი და მსახიობი, როცა რეპეტიცია ერთ დიდ მსჯელობად გადაიქცევა, ხოლო პრაქტიკულად შემოქმედებითი მუხტი არ არსებობს; თეორია, თეორიად რჩება. რა ვქნათ არ გავაანალიზოთ როლი?

როლისა და პიესის ანალიზი აუცილებელი პირობაა რეპეტიციების დასაწყისში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსახიობიცა და რეჟისორიც ბრმად მიყვებიან ამბავს. აუცილებელია პიესის დაყოფა ნაკვეთებად, სცენებად, ეპიზოდებად და ა.შ. ამოცანების განსაზღვრა, გამჭოლი მოქმედებების შერჩევა და სხვა.... წინააღმდეგ შემთხვევაში რაზე დაყრდნობით შეიძლება აიგოს ფსიქოლოგიური ჟესტი?!

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ხშირი მსჯელობითა და განხილვებით, შემოქმედებითი მუხტი კვდება.

ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ შემოდის ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიცია. ეს არის როლის ძიების განსხვავებული ფორმა, რომელიც აბრუნებს შემოქმედებით მუხტს და წინა პლანზე გამოდის მსახიობის ინტუიცია. ვეძებთ ქვეცნობიერში, შეგრძნებებს მივყვებით, ვეძებთ ისეთ მარცვლებს, რომლებიც სიტყვები ნაკლებად აიხსნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს უგზოუკვლო, მოჩვენებით ტანვარჯიშს. რაოდენ პლასტიურად დახვეწილი მოძრაობაც არ უნდა მოიგონო, ის ვერანაირ სარგებელს ვერ მოგიტანს, თუ არ შეიგრძენი არსი თვითონ მოძრაობისა. რეჟისორმაც და მსახიობმაც საჭიროა დროდადრო გადაუხვიონ ტიპიურ სარეპეტიციო თანმიმდევრობას და ძიება განაგრძონ სხვა არეალში, ისელმდღვანელონ ინსტიქტებით. ნუ დაემორჩილებიან ლოგიკას. მისცენ შემოქმედებით ინტუიციას გასაქანი. ამ ყველაფრის მიღწევა გაცილებით ადვილია სტუდენტების შემთხვევაში, რადგან დასაწყისში სამსახიობო ენთუზიაზმიცა და ენერგიაც დუღილის პროცესს განიცდიან. სწორედ ამ დროს მიგვაჩნია მართებულად სტუდენტისთვის ამ სარეპეტიციო ფორმის მიწოდება. არ აქვს მნიშვნელობა რეჟისორი იქნება ის, თუ მსახიობი, გავიხსენოთ მოქანცველი, დაუსრულებელი რეპეტიციები; ალბათ ყველა იღლებოდა თავის დროზე გაუთავებელი საუბრით, თუ როგორი უნდა იყოს მსახიობი; რომ მსახიობობა, ძნელია, ჯარისკაცული გამძლეობა სჭირდება, როცა სხვა მუშაობს უნდა იჯდე და უყურო; არ მოგბეზრდება, თუ შენც ჩართული იქნები.... ასეთი ფრაზები ყველას გაუგონია და ჩვენც ხშირად ვიყენებთ სტუდენტებთან მუშაობისას....

ჰო, ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ სიამოვნება? შეთხულ სამყაროში არსებობით გამოწევეული აუიტირება, სად არის ეს ყველაფერი? გამოდის, რომ მსახიობობა გაუთავებელი წვალება ყოფილა. შეიძლება გადაჭარბებულად ჟღერდეს, მაგრამ ჩეხოვის სარეპეტიციო მეთოდი, ფსიქოლოგიური ჟესტი, მარტო მცდელობა მისი შესრულებისა, უკვე აფეთქებს სტუდენტ მსახიობში იმ შემოქმედების ჟინს, რომელიც საჭიროა მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე არ ჩაუქრეს....

ფსიქოლოგიური ჟესტის მეთოდოლოგიით რეპეტიციისთვის, გარდა ქმედითი ანალიზის მეთოდის ფლობისა, მსახიობი აუცილებლად სრულყოფილად უნდა ფლობდეს და აკონტროლებდეს საკუთარ სხეულს. ამ შემთხვევაში მისი ფიზიკური აპარატი არის ერთ-ერთი საშუალება მაყურებლამდე სათქმელის მისაგანად და შთაბეჭდილების მოსახდენად.

პირველ კურსზე, დამწეული მსახიობები ყოველ რეპეტიციას სავარჯიშოებით იწყებენ: ათავისუფლებენ კუნთებს, ყურადღებას ამახვილებენ სხეულის სხვადასხვა

ნაწილებზე: „დაგჭიმოთ მარჯვენა ხელი, – გავითავისუფლოთ“, ან აკეთებენ ე.წ. „ტალღას“. ამ სავარჯიშოს შემდეგი გაგრძელება შესაძლებელია იყოს მზადება ფსიქოლოგიური ჟესტისთვის. მაგალითად: პედაგოგი აძლევს დავალებას საკუთარ სხეულში მონახონ სხვადასხვა შეგრძნებები: შიში, სიყვარული, სიკეთე, აგრესია, ბოროტება, სიძუნწე და სხვ. მსახიობმა უნდა მონახოს სხეულის რომელი ნაწილიდან იღებს სათავეს ესა, თუ ის მდგომარეობა, რომელ ნაწილშია ჩაბუდებული ესა, თუ ის შეგრძნება. პასუხები ყოველთვის განსხვავებულია, თითქმის იმდენივეა რამდენი მსახიობიც ასრულებს ამ სავარჯიშოს. ყოველი სტუდენტი ინდივიდუალურ პასუხს იძლევა; ერთი იძახის, რომ სიკეთე ხელის გულებში აღმოაჩინა, მეორემ კი, იგივეს მუცლის არეში მიაგნო. შემდეგ ეტაპზე, პედაგოგი სთხოვს მსახიობებს ამ მდგომარეობის შესაბამისი მოძრაობა შეასრულონ – მოძრაობა, რომელსაც აუცილებელია პქონდეს დასაწყისი, განვითარება და დასასრული, მაგრამ იმ პირობით, რომ სათავეს სხეულის იმ წერტილიდან იღებს, სადაც სტუდენტმა ამა, თუ იმ მდგომარეობის საწყისს მიაგნო; შესაბამისად მოძრაობაც ვერ იქნება ერთნაირი, რადგან მათი საწყისი წერტილი განსხვავებულია. ეს სავარჯიშო, ჯერ არ არის ფსიქოლოგიური ჟესტი, მაგრამ მისკენ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მისი მეშვეობით მსახიობი, შინაგან მდგომარეობას ფიზიკურთან აკაგშირებს და ორივეს გაერთიანებას ცდილობს, რაც აუცილებელი პირობაა ფსიქოლოგიური ჟესტის ასათვისებლად.

ასე, რომ ჩეხოვს მრავლად აქვს მოწოდებული სავარჯიშოები, რომლებიც ჩვენი მხრივ დავამატებდით თაიძიციუნს, რომელიც უზრუნველყოფს მსახიობისგან შინაგანი ენერგიის მართვის მექანიზმის დაუფლებას. (მიხეილ ჩეხოვის სავარჯიშოების და თაიძიციუნის შესახებ ქვემოთ გავაგრძელებთ მსჯელობას).

საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისთვის აუცილებლად წინა პლანზე უნდა წამოიწიოს მსახიობის საკუთარი წარმოსახვა, ინტუიცია; აუცილებელია მსახიობმა განავითაროს საკუთარი ფანტაზია.

აქ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჩეხოვის მიერ შემუშავებული ეს მეთოდი, რეჟისორის და მსახიობის მთლიან სამუშაოს ვერ შეცვლის, მაგრამ საგრძნობლად დაეხმარება მათ მხატვრული სახის გაცოცხლების პროცესში, სადაც გადამწყვეტ როლს მსახიობის ფანტაზია თამაშობს.

რაც უფრო მდიდარია მსახიობის ფანტაზია, როლის მით უფრო მეტ ვარიანტს განიხილავს მისი გონება. მსახიობს, როგორც ხელოვანს, თუ რა თქმა უნდა ის კეთილსინდისიერად და გატაცებით ემსახურება თეატრალურ ხელოვნებას, მუდამ

უტრიალებს თავში ამა, თუ იმ როლის მხატვრული სახის კონტურები; მუდმივ პერსონაჟის ძიებაშია; ეძებს წიგნებში, ქუჩაში, ნათესავ-მეგობრებში, საკუთარ თავში, მოკლედ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება; ეძებს პერსონაჟის თვისებებს, ქცევებს, მოქმედებებს, ფორმებს, რომლითაც შესაძლებელია ამა, თუ იმ მოქმედების შესრულება, იმისთვის, რომ საბოლოოდ დახატოს პერსონაჟი. იმასსოფრებს ყველაფერს, რაც როლის გასაცოცხლებლად შეიძლება გამოადგეს. ეს არის მუდმივი დავალება, რასაც მსახიობი, როგორც ხელოვანი საკუთარ თავს აძლევს. „დააკვირდით ცხოვრებას“ – პირველი კურსის, პირველივე დღეებში მიცემული ეს დავალება დაუსრულებლად გრძელდება. უნდა „დავაფიქსირო“ ყველა საინტერესო ქცევაა, ხასიათი, ფიზიკური მოძრაობაც კი, რასაც ცხოვრებაში შეიძლება წავაწყდე, დავიმახსოვრო და გონების უჯრაში შევინახო: რა იცი რაში გამოგადგეს...

ამგვარად, მსახიობის გონებრივი „სალარო“ – განვითარებული ფანტაზია, წარმოსახვა, ინტუიცია აუცილებელი პირობაა ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციის დროს.

ყველაფერი ზევით აღნიშნული წარმოადგენს გარდაუვალ საჭიროებას ფსიქოლოგიური ჟესტის მეთოდით რეპეტიციისას.

შემდეგ ქვეთავში – ფსიქოლოგიური ჟესტით მუშაობისთვის მოყვანილი გვაქს კონკრეტული სავარჯიშოები; სავარჯიშოები, რომლებიც ხელს უწყობენ ფსიქოლოგიური ჟესტის მიზნებას და ამ სარეპეტიციო მეთოდით მუშაობას.

ამ სავარჯიშოების შესრულებისას აუცილებელია ჩეხოვის აზრით ოთხი პრინციპის შესრულება: სიმსუბუქე, ფორმა, მთლიანობა და სილამაზე, ანუ ესთეტიურობა, რადგანაც ეს ყველაფერი კეთდება შემოქმედებითი მარცვლების გაღვივებისთვის.

შემდეგ ქვეთავში შევეხეთ ჩვენს მიერ აღმოჩენილ – თაიძიციუანს. იგი ჩინეთში იგი 800 წლის წინანდელი ფილოსოფიის მიერ ჩამოყალიბებულა, როგორც საბრძოლო ხელოვნების გარკვეულ მოძრაობათა კომპლექსი – სავარჯიშოები, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით და გამოცდილებით, ასევე წარმოადგენს დამხმარე საშუალებას ფსიქოლოგიური ჟესტის ათვისების, დაუფლების პროცესში.

თაიძის „პატა“, ანუ ფორმები, გარკვეულ მოძრაობათა კომპლექსი, შესრულების პრინციპით ძალიან წააგავს იმ სავარჯიშოებს, რომლებიც ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოსაყალიბებლად გვჭირდება. თაიძის მოძრაობებშიც მთავარია არა ფიზიკური, არამედ შინაგანი ძალის მობილიზება. აქედან გამომდინარე, სასარგებლოდ მიგვაჩნია სამსახიობო ოსტატობის დასაუფლებლად

თაიძის გარკვეული საგარჯიშოების შეტანაც „ცნობიერების ფიზიკური ვარჯიში“, ზუსტად ის არის, რაც გვესაჭიროება ფსიქოლოგიური ჟესტის ასათვისებლად.

შემდეგ მოყვანილი გვაქვს „თაიძის“ კონკრეტული, ჩვენი აზრით, სასარგებლო, გამოსაყენებელი ვარჯიშები.

საბოლოოდ კი, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ამგვარი საგარჯიშოების მეშვეობით მსახიობს მიეცემა საშუალება სრულყოფილად აითვისოს ფსიქოლოგიური ჟესტის რეპეტიციების ტექნიკა, ხოლო საკუთარ სხეულს, როგორც ერთ-ერთ სამსახიობო ინსტრუმენტს, უფრო მეტი გამომსახველობა მისცეს, გამოუმუშავდეს საკუთარი ფანტაზიის მეშვეობით შეთხზულ დროსა და სივრცეში პერსონაჟის გაცოცხლების უნარი.

ამგვარად, ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისთვის რამოდენიმე აუცილებელი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო:

ა) მსახიობი მზად უნდა იყოს თავისი ფსიქო-ფიზიკური აპარატით.

ბ) განსაკუთრებით აუცილებელია მსახიობისთვის განვითარებული ფანტაზია, წარმოსახვა, ინტუიცია.

გ) აუცილებლად უნდა შეეძლოს ქმედითი ანალიზის მეთოდით მუშაობა.

პირველი ორი პირობის შესასრულებლად ჩეხოვი იძლევა უამრავ საგარჯიშოს, რასაც ჩვენის მხრივ, დავამატებდით თაიძიციუანის საგარჯიშოებს, ხოლო ქმედითი ანალიზის მეთოდით მუშაობა კი, ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია აპრობირებული მეთოდია.

და ბოლოს, აქეთ უნდა იქნეს მითითებული ფსიქოლოგიური ჟესტის, როგორც მეთოდის გამოყენების ერთი აუცილებელი პირობა – იგი შეიძლება იქნეს აღქმული და გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ რეპეტიციების პროცესში. ასე, რომ იგი მხოლოდ სარეპეტიციო მეთოდს წარმოადგენს.

## თავი 6.

ფსიქოლოგიური ჟესტის ჩვენს მიერ პრაქტიკაში გამოყენების ექსპერიმენტი:

კოტე ჯანდიერის „საოჯახო ქრონიკა“

რუსთავის თეატრის სცენაზე განხორციელების შესახებ.

ამ თავში ძირითადად ვიმსჯელეთ ფსიქოლოგიური ჟესტის მეთოდის ჩვენს მიერ პრაქტიკაში – კონკრეტულ სპექტაკლზე მუშაობის პროცესში გამოყენების შესახებ და მიღებული შედეგიდან გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანეთ. ფაქტიურად, ჩავატარეთ გარკვეული ექსპერიმენტი – კოტე ჯანდიერის პროზაული ნაწარმოების სცენაზე გადატანისას ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით.

პროზაული ნაწარმოების სცენაზე გადატანა საერთოდ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. მით უფრო კონკრეტულად ამ ნაწარმოების, რადგან იგი წერილების სახით არის დაწერილი. ერთმანეთისადმი მიწერილი ბარათების საშუალებით მიმდინარეობს ურთიერთობა გმირებს შორის და ამბავი, მოვლენაც, ამ სახით ვითარდება; ამიტომ, ჩვენ უნდა მოგვეფიქრებინა გარკვეული ხერხი, რათა გმირებს შორის არსებული და მიმდინარე კონფლიქტი, მოვლენა მაყურებლისთვის მისაღები ყოფილიყო და წერილების ფორმით გადმოცემულ ამბავს გაჰყოლოდა სპექტაკლის მიმდინარეობის პროცესში. ეს იყო სირთულე, რომლის გადაჭრაც თავდაპირველად მოგვიხდა – როგორ აგვეგო ურთიერთობა სცენაზე მაყურებლისთვის დასანახად...

შემდეგი ეტაპი უკვე რეპეტიციების დაწყებიდან სამაგიდო მუშაობისას მოვლენების დალაგება გახლდათ, ასევე დაპირისპირებული მხარეების განსაზღვრა, პერსონაჟთა ზეამოცანების და გამჭოლი მოქმედებების დადგენა და საბოლოოდ, თითოეული სცენის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაცოცხლება.

უკვე პერსონაჟების დახასიათებისას, ჩვენ, ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტი დაგვეხმარა ხასიათებში ჩაღრმავებისა და მისი სახიერი გამოხატულების მოძებნაში; ასევე, სცენაზე რეპეტიციებისას, ცალკეული სცენის გადაწყვეტის დროს, ისევ მივმართეთ ფსიქოლოგიურ ჟესტს და საბოლოოდ, დავტოვეთ კიდევ ერთგვარი სახით, როგორც ამ სცენის გადაწყვეტა; ასევე ფსიქოლოგიური ჟესტის რეპეტიციების დროს გამოყენებამ, პროცესში შეტანამ, გააადვილა ერთი პერსონაჟის ერთი მდგომარეობიდან, მეორეში ლოგიკურად გადასვლის პროცესიც. ფაქტიურად, სპექტაკლის კულმინაციური ეპიზოდი, რეპეტიციის დროს ფსიქოლოგიური ჟესტის პრინციპით მიგნებული გადაწყვეტით იქნა დატოვებული იგივე სახით, როგორც დაიბადა ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციების პროცესში; ადსანიშნავია, რომ რეპეტიციის პროცესში მსახიობებმა თავად მიაგნეს, გარკვეულად ჩვენი მხრიდან ბიძგის შემდეგ, ფსიქოლოგიურ ჟესტს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო როგორც ხასიათის გამოვლინებისთვის სცენაზე, ასევე საქციელის სახიერების და სპექტაკლის სათქმელის გამომსახველობის თვალსაზრისითაც.

ამ ექსპერიმენტის დროს, სპექტაკლზე მუშაობისას, ფსიქოლოგიური ჟესტის გამოყენებამ საშუალება მისცა მსახიობებს უფრო ნათლად დაენახათ და შემდეგ გადმოეცათ ის შინაგანი პროცესები, რომლებიც პერსონაჟების შინაგან მდგომარეობას ახლავს თან.

მიხეილ ჩეხოვის ამ მეთოდმა მათ შემოქმედებით ინტუიციას მეტი გასაქანი მისცა და რიგ ადგილებში ამოაგდო კიდევ გარკვეული დრამატურგიული

ჩარჩოებიდან, რამაც სასარგებლოდ იმოქმედა სპექტაკლის სცენური ფორმის ჩამოყალიბებაზე. მათ, მსახიობებმა, გადაუხვიეს ყოფით ლოგიკას, რომელიც ამა, თუ იმ ვითარებაში პერსონაჟის ქცევებში ვლინდება ხოლმე და შინაგანი პროცესების თანმიმდევრობას გაყვნენ. ჩვეულებრივი დრამატურგიული მასალის აღების შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა ქცევათა ის თანმიმდევრობა, რაც სპექტაკლშია მოცემული, მაგრამ ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ჟესტის მეშვეობით ჩამოყალიბდა სცენაზე მოქმედების გარკვეული ფორმა, რომელმაც უფრო დამაჯერებელი გახდა ამბვის ასეთი ფორმით თხრობა (წერილებით ურთიერთობას ვგულისხმობთ). გარეგნულად სტატიურ სცენებშიც მსახიობები ფსიქოლოგიური ჟესტის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, რათა წინა პლანზე პერსონაჟის შინაგანი, სულის მოძრაობა წარმოებინათ და არა ყოფითი სამოქმედო საშუალებები, რომლითაც ხშირად ადამიანები ნიღბავენ საკუთარ შინაგან პროცესებს. ამ შემთხვევაში კი, შინაგანი იმპულსების გარეთ გამოტანის მეშვეობით მოხდა ამბვის აგება.

საბოლოოდ, დადასტურებულად უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტის რეპეტიციის დროს გამოყენება უდაოდ დაგვეხმარა სპექტაკლზე მუშაობის პროცესში სასურველი შედეგისათვის მიგვეღწია.

## დასკვნა

ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მიხეილ ჩეხოვის „ფსიქოლოგიური ჟესტი“. თავიდან თეორიული თვალსაზრისით, შემდეგ მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები გავანალიზეთ და საბოლოოდ, თავად გამოვიყენეთ სპექტაკლის დადგმის პროცესში – ასე ვთქვათ, ჩავატარეთ ექსპერიმენტი და მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1. რომ მიხეილ ჩეხოვის შეხედულებები ფსიქოლოგიური ჟესტის შესახებ სისტემური ხასიათის არის და არა მხოლოდ ცალკე აღებული, ან ერთეულად გამოთქმული, პრაქტიკულად გამოუყენებული შეხედულება.
2. იგი მსახიობის აღზრდის პროცესისთვის ერთ-ერთი საუკეთესო სისტემური ხასიათის მოსაზრებათა ჯაჭვია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მეთოდი.
3. ფსიქოლოგიური ჟესტი, როგორც მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ რეპეტიციების, ლექციების პროცესში და არა, თავად მსახიობის სცენაზე მოქმედებისას უკვე მაყურებლის თვალშინ. ასე, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სარეპეტიციო პროცესის დროს, მსახიობის მიერ ხასიათის პოვნის პროცესის დროს არის გამოსადეგი.

4. ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიცია არის როლის ძიების განსხვავებული ფორმა, რომელიც ააქტიურებს შემოქმედებით მუხტს და წინა პლანზე გამოდის მსახიობის ინტეიცია, მაშინ როცა რეპეტიციაზე ხშირი მსჯელობითა და განხილვებით შემოქმედებითი მუხტი კვდება.

5. ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციის დროს მივმართავთ მსახიობის ქვეცნობიურს, მივყვებით შეგრძნებებს, ვეძებთ ისეთ მარცვლებს, რომელიც გასაჭანს აძლევს შემოქმედებით ინტეიციას.

6. ამ ყველაფრის მიღწევა გაცილებით ადვილია სტუდენტების შემთხვევაში, რადგან დასაწყისში სამსახიობო ენთუზიაზმი და ენერგიაც დუღილის პროცესს განიცდის და სწორედ ასეთ დროს მიგვაჩნია მართებულად სტუდენტისთვის ამ სარეპეტიციო მეთოდის მიწოდება. გავიხსენოთ მომქანცველი, დაუსრულებელი რეპეტიციები; გაუთავებელი საუბარი, რომ მსახიობობა ძნელია, ჯარისკაცული გამძლეობა სჭირდება... მაგრამ ამ დროს სამწუხაროდ იკარგება შეთხზულ სამყაროში არსებობით გამოწვეული აუიტირება, სიამოვნება. ჩვენი აზრით, დაკვირვებითა და გამოცდილებით, ჩეხოვის სარეპეტიციო მეთოდი – ფსიქოლოგიური ჟესტი, მხოლოდ მცდელობა მისი შესრულებისა, უკვე აფეთქებს სტუდენტ მსახიობში იმ შემოქმედებით ჟინს, რომელიც საჭიროა მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე არ ჩაუქრეს.

7. იგივე შეიძლება ითქვას პროფესიონალ მსახიობზე, რომლისთვისაც როლის მთლიანობის შესაგრძნობად ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიცია დამატებით უაღრესად სასარგებლოა, რადგან ამ შემთხვევაში მსახიობს მთელი როლის ხაზი ერთ დასრულებულ მოძრაობაში გადაჰყავს; მოძრაობის მასშტაბი პერსონაჟის თავგადასავლის შესაბამისი უნდა იყოს. რეპეტიცია სიამოვნებით, შემოქმედებითი ჟინით და დამატებით ხასიათის შტრიხების ძიება – ეს არის ჩვენი დაკვირვებით და გამოცდილებით ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციის ღირებულება.

8. თუმცა ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისას შედეგის მიღწევა არც ისე მარტივია. ამისთვის მსახიობი მზად უნდა იყოს. მზად უნდა იყოს იგი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც.

9. მიხეილ ჩეხოვი კონკრეტულ სავარჯიშოებს იძლევა ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისთვის მსახიობის მოსამზადებლად. ამ სავარჯიშოების ღირებულებაში თითოეული პედაგოგი თავად დარწმუნდება, მათი გამოყენების დროს.

10. ჩეხოვის სავარჯიშოების გარდა, ჩვენ მივაკვლიეთ, ასევე ჩვენი აზრით, ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციისთვის და საერთოდ, მსახიობის

მობილიზებისთვის, შინაგანი და ფიზიკური უნარების გავარჯიშებისთვის, დამატებით სავარჯიშოებს, რომლებიც ჩინეთში 800 წლის წინანდელი „თაიძის“ ფილოსოფიიდან გამომდინარე არსებული მოძრაობათა კომპლექსიდან ამოვარჩიეთ. ისინი, ჩვენი აზრით და ჩვენი გამოცდილებით, მსახიობს აძლევენ საშუალებას სრულყოფილად აითვისოს ფსიქოლოგიური ჟესტით რეპეტიციის ტექნიკა, ხოლო საკუთარ სხეულს, როგორც ერთ-ერთ სამსახიობო ინსტრუმენტს უფრო მეტი გამომსახველობა მისცეს; გამოუმუშავდეს, საკუთარი ფანტაზიის მეშვეობით, შეთხულ დროსა და სივრცეში პერსონაჟის გაცოცხლების უნარი.

11. და საბოლოოდ, მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტი, მსახიობის აღზრდის პროცესისთვის, მსახიობის აღზრდის პრობლემის გადაჭრის დროს, ჩვენი აზრით და გამოცდილებით, ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, მეთოდს წარმოადგენს.

თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ მიხეილ ჩეხოვის, როგორც მსახიობის განსაკუთრებული უნარი – უსაზღვრო ფანტაზია, რომელიც მას აძლევდა საშუალებას მიეღწია სასცენო ხელოვნებაში საუკეთესო შედეგებისთვის. ბუნებრივია, ასეთი უნარი ყველა მსახიობს ერთნაერი არ გააჩნია და ამდენად, მის მიერ მოწოდებული რჩევები ყველასათვის, ყველა არტისტისთვის, ერთნაერად გამოსადეგი ვერ იქნება. ალბათ, უფრო სწორი იქნება, იგი, ფსიქოლოგიური ჟესტი, განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი, და არა ერთადერთი, მაგრამ ძალზე ფასეული, გამოსაყენებელი საშუალება, მოსაზრებები, მეთოდი მსახიობის როლზე მუშაობისთვის და შესაბამისად კი, მსახიობის შემდგომში წვრთნის და აღზრდის პროცესისთვის.

დოქტორანტი გიორგი ქანთარია

## 6. დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული ნაშრომების სია:

1. მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტის ჩამოყალიბების ისტორია (ზოგადი მიმოხილვა). სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, თბილისი, 2015წ. №2, გვ.122–133.
2. მიხეილ ჩეხოვი მსახიობის ხელოვნების შესახებ ზოგადად. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, თბილისი, 2015წ., №4, გვ.153-168.
3. მიხეილ ჩეხოვის ფსიქოლოგიური ჟესტი, როგორც ფანტაზიის შედეგად შექმნილი პერსონაჟის განსხვალების საშუალება. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, თბილისი, 2016წ. №1, გვ.

1-31606n 8-5 J. fortisnus wifeyam Chinnal and Zengus  
Bogalur 30 Dec/87.

Համար եւալիս "Ձեմոց քայլ պիտի առնչութեան համար  
ըստին ժամանակ" ։

ՀՊՀ-18թօթ բարեկարգության և ջրաբան և աղբա օլոցիկ հայտնիությունները պահպանվում են ՀՀ Կառավարության կողմէն՝ պահպանական պահանջման դեմքությամբ:

E. 3m 356 N.

26. 20. *Conchilina*. *Thomasi*.

28.02.2016.

a 2nd color.